

2-2773/20
14-02-2020

საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს


ქალბატონო ეთერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის
შესაბამისად, გიგზავნით დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის 2019 წლის
საქმიანობის ანგარიშს.

დანართი: 26 (ოცდაექვსი) ფურცელი

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ბექა ოდიშარია



საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა
კომიტეტის

2019 წლის საქმიანობის

ანგარიში

ზოგადი ინფრომაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ -----	3
სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო -----	3
კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა -----	4
საზედამხედველო უფლებამოსილება და დარგობრივი მიმართულებებით გაწეული სამუშაოები -----	5
დიასპორული ორგანიზაციები და ქართველოლოგიური ცენტრები, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები -----	5
დიასპორის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისია -----	12
ქართული ისტორიული დიასპორა -----	12
თანამედროვე მიგრაციული პოლიტიკა, მიგრაციული პროცესები და მათი მართვა -----	15
კავკასია, კავკასიელ ხალხებთან, მათ დიასპორულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა -----	17
რეგიონული უსაფრთხოება, კონფლიქტების რეგულირება -----	18
ანალიტიკური საქმიანობა -----	19
მოქალაქეთა წერილები, მომართვები -----	19
ევროპასთან ინტეგრაცია და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება -----	20
თანამშრომლობა საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებასთან, დარგობრივ ორგანიზაციებთან -----	20
კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტები და ცალკეული შეხვედრები -----	22
კომიტეტისა და კომიტეტის აპარატის სხვა აქტივობები -----	26

ზოგადი ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის საქმიანობა, საანგარიშო პერიოდში, დარგობრივი მიმართულებებისა და კომპეტენციის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და სხვა სათანადო სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მიმდინარეობდა.

კომიტეტის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენდა: უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან, კავკასიელ ხალხებთან და კავკასიურ დიასპორულ ორგანიზაციებთან, ქართველოლოგიურ და კავკასიოლოგიურ ცენტრებთან თანამშრომლობა, მათთან კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირების განმტკიცება; დიასპორული, მიგრაციული და რეგიონული პოლიტიკის შემუშავების, რეგიონული უსაფრთხოების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების სამოქალაქო უფლებების საკითხებზე მუშაობა. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, მიღებული გადაწყვეტილებებისა და საკანონმდებლო აქტების აღსრულებაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების, დარგობრივი მიმართულებებით საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის საკითხებზე მუშაობისას, ასევე, სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, კომიტეტმა ჩაატარა 20 სხდომა, ათეულობით მნიშვნელოვანი შეხვედრა და სხვა ფორმატის ღონისძიებები, მოისმინა შესაბამისი ინფორმაციები, რა დროსაც შეიმუშავა სათანადო დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო

კომიტეტთან აქტიურად მუშაობდა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის წევრებიც არიან ცნობილი მეცნიერ-კონსულტანტები. საბჭოში შექმნილია 3 სამუშაო ჯგუფი: დიასპორის, მიგრაციისა და კავკასიის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში საბჭო მუშაობდა: უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და კავკასიელ ხალხებთან, მათ დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მეცნიერული ანალიზის, სახელმწიფოს რეგიონული და მიგრაციული პოლიტიკის, ამ სფეროებში არსებული პრობლემატიკის შესწავლის, გამოწვევებისა და საფრთხეების პრევენციის, პროცესების რეგულაციის საკითხებზე. აგრეთვე, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში მიმდინარეობდა მუშაობა „საქართველოს პარლამენტის დიასპორასთან

ურთიერთობის კონცეფციის“ დოკუმენტის პროექტზე და „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებზე.

საბჭოს წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ საკომიტეტო საქმიანობაში. მათი ჩართულობით ხდებოდა კომიტეტის გადაწყვეტილებების, დასკვნების, რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება.

კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, კანონშემოქმედებითი საქმიანობის კუთხით განხილული დოკუმენტებიდან საყურადღებოა შემდეგი:

- დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - ბექა ოდიშარას და კომიტეტის წევრების ინიციატივით, ცვლილება განხორციელდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. საყურადღებოა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებით, საქართველოს მოქალაქეებს, უფლება მიეცათ, 2018 წლის 15 აგვისტოდან 1 წლის ვადაში მიემართათ სააგენტოსათვის და მოეთხოვათ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება. აღნიშნული რეგულაცია შეეხო მოქალაქეთა იმ კატეგორიას, რომელთა მიმართაც 2018 წლის 15 აგვისტომდე არ იყო მიღებული გადაწყვეტილება სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე. მითითებული ნორმით გათვალისწინებული რეგულაცია მოქმედებდა 2019 წლის 15 აგვისტომდე. ცვლილების განხორციელების პერიოდში არსებული მონაცემების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მოთხოვნით სააგენტოს მიმართა 5600-მდე საქართველოს მოქალაქემ. ამდენად, ამ უფლებით მოსარგებლე პირების მომართვიანობა იყო შედარებით მცირე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთი შესაძლებლობით პოტენციურად მოსარგებლე პირთა რიცხვი საკმაოდ მაღალია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე (საკითხთან დაკავშირებით უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ინფორმირებულობის გათვალისწინებით) მიზანშეწონილი გახდა, რომ ასეთ პირებს 2019 წლის 15 აგვისტოს შემდეგაც მისცემოდათ მსგავსი მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა იმავე ვადის განმავლობაში, რაც განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეობის აღდგენაზე მომართვისათვის (2020 წლის 31 დეკემბრამდე). ცვლილება განხორციელდა გარდამავალ დებულებაში რომლის შესაბამისადაც, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთა მიმართ 2018 წლის 15 აგვისტომდე არ იყო მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეობის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო

დაკარგვის თაობაზე, მიეცათ დამატებითი ვადა - 2020 წლის 31 დეკემბრამდე - მოითხოვონ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება.

საფინანსო-საბიუჯეტო კუთხით, კომიტეტის მიერ განხილული კანონპროექტებიდან და დოკუმენტებიდან საყურადღებო იყო შემდეგი:

- „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის“ (07-2/339; 30.09.2019) განხილვა;

- საანგარიშო პერიოდში, განხილული იქნა და შესაბამისი დასკვნები მომზადდა საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ, საქართველოს პარლამენტში ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამისთვის (07-2/388; 03.09.2019) ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებულ დოკუმენტზე (2019 წლის 4 სექტემბრის სხდომა).

საზედამხედველო უფლებამოსილება და დარგობრივი მიმართულებებით გაწეული სამუშაოები

დიასპორული ორგანიზაციები და ქართველოლოგიური ცენტრები, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები

უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან და სათვისტომოებთან ურთიერთობების გაღრმავებისა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლის მიზნით, რეგულარულად იმართებოდა კომიტეტის სხდომები და სამუშაო შეხვედრები აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებების (*საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მიგრაციის სამთავრობო კომისია, რელიგიის სააგენტო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და ა.შ*), დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, უმაღლესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიურ წრეების წარმომადგენლების, ექსპერტებისა და საკითხით დაინტერესებული ფართო საზოგადოების მონაწილეობით.

საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან და ქართულ დიასპორებთან კავშირების განმტკიცებისა და ქართულ სახელმწიფოსთან დაახლოების/

ინტეგრაციის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ღონისძიება და პროექტი, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი აქტივობები:

- დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წევრებმა კომიტეტის სხდომაზე, (2019 წლის 11 თებერვალი) წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცეს. კომიტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმა პარლამენტის ახალი რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა და საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებასთან ერთად, კომიტეტის საზედამხედველო ფუნქციის კიდევ უფრო გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

კომიტეტის სამოქმედო გეგმა, მიზნებიდან და მასზე დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, მოიცავდა დიასპორის, კავკასიისა და მიგრაციის კუთხით, კომიტეტის საქმიანობის შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- ✓ დარგობრივი პოლიტიკის შემუშავება/განსაზღვრა;
- ✓ კანონშემოქმედებითი საქმიანობა;
- ✓ საზედამხედველო საქმიანობა;
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობა;
- ✓ კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- ✓ კომიტეტის ორგანიზაციული საქმიანობა.

- მოსმენილ იქნა ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის დირექტორის პროფესორ მერაბ ჩუხუას ინფორმაცია (2019 წლის 14 მარტის სხდომა), რომელიც შეეხებოდა ცენტრის საქმიანობას და 2019 წელს დაგეგმილ ღონისძიებებს. მან კომიტეტის წევრებს ასევე წარუდგინა ახალი გამოცემა, „ჩერქეზული-ადიღური კულტურის ცენტრი - 2012-2018“, სადაც მოთხრობილია ყველა იმ მნიშვნელოვანი ღონისძიების, გამოცემული წიგნების და სამოქმედო გეგმის შესახებ, რასაც ცენტრის კონცეფცია ეფუძნება. გამოცემა ასახავს სსიპ ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის, 2012-2018 წლების საქმიანობის ანგარიშს, რომელიც კავკასიის პრობლემატიკით დაინტერესებულ ყველა ადამიანს მისცემს სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ცენტრის საქმიანობის შესახებ.

ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის საქმიანობის გრძელვადიან პერსპექტივაზე საუბრის დროს აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ნიადაგის მომზადება იმ დროისათვის, როდესაც საქართველოს მიეცემა მეტი შესაძლებლობა ჩერქეზებთან უფრო ფართოდ განავითაროს ეკონომიკური და კულტურული კავშირები, როგორც კავკასიაში, ისე მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში.

- მოსმენილ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის და მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორების ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც შეეხებოდა:

- ✓ დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს;
- ✓ თანამემამულეთა უფლებების დაცვის პროგრამებს;
- ✓ საქართველოს მდგრადი გავითარების პროცესში ქართული დიასპორის აქტიური ჩართულობის ხელშეწყობას.

სხდომაზე აღინიშნა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და იქ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების საინფორმაციო ანალიტიკური ბაზის, ასევე დიასპორულ ორგანიზაციათა რეესტრის მნიშვნელობის შესახებ. ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფის მიმართულებით დეპარტამენტის მუშაობის აქტივობების შესახებ. სხდომაზე ასევე ყურადღება გამახვილდა საქართველოს საგარეო ურთიერთობებზე ჩვენს მეზობლებთან. კერძოდ აზერბაიჯანთან, რუსეთთან, სომხეთთან. მათთან საქმიანი და პოლიტიკური ურთიერთობების მნიშვნელობაზე. აქცენტი გაკეთდა აზერბაიჯანთან, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან და ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის მხარდამჭერ ქვეყანასთან სატრანსპორტო-ენერგეტიკული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

- მოსმენილ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის მიერ წარმოდგენილი საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიში (2019 წლის 10 მაისი);
- კომიტეტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო დიასპორის დღის - 27 მაისის დაგეგმვასა და დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, რომელიც ქ. თბილისში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით გაიმართა.

ფორუმი “მლიერი დიასპორა ერთიანი საქართველოსთვის“ რომელიც ორი დღის განმავლობაში გაგრძელდა, მიზნად ისახავდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, სამშობლოსთან მათი კავშირის უზრუნველყოფას, მათ აქტიურ ჩართულობას ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში და დიასპორის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

ღონისძიება ოფიციალურად გახსნა საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს, საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ და საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ბექა ოდიშარიამ.

ლონისძიების ფარგლებში დიასპორის წარმომადგენლები თემატურ ჯგუფებში იქნა გადანაწილებული, სადაც ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო ევროკავშირში ინტეგრაცია და ვიზალიბერალიზაცია.

ლონისძიების ფარგლებში საუბარი შეეხო მაღალპროფილური დიასპორის ცოდნისა და გამოცდილების ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენებასა და დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი სახელმწიფო პროგრამების ირგვლივ მსჯელობას. ფორუმში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, უცხოეთში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე თანამემამულეები, საქართველოს მთავრობის, აკადემიური წრეების, ბიზნესის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გაიმართა ვიწრო თემატური შეხვედრები განათლების, კულტურის, ბიზნეს კავშირების განვითარების, სახალხო დიპლომატიის და სხვა მიმართულებით, რა დროსაც დიასპორის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება წარმოედგინათ საკუთარი ხედვები მათ მიერ შერჩეულ პრიორიტეტულ მიმართულებასთან დაკავშირებით და შეხვედრის სხვა მონაწილეებისთვის გაეზიარებინათ ამა თუ იმ სფეროში პროფესიული გამოცდილება.

ფორუმის მონაწილეებმა პატივი მიაგეს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას და გვირგვინით შეამკეს გმირთა მემორიალი. ფორუმში მონაწილეობა მიიღო 400-მდე სტუმარმა, მათ შორის დიასპორის 120 წარმომადგენელი 25 ქვეყნიდან.

- 2019 წლის 28 მაისს, მოსმენილ იქნა სსიპ „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა პროგრამით - „აწარმოე საქართველოში“ გათვალისწინებულ პროექტებში უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისა და დაბრუნებული მიგრანტების ჩართულობას, არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციას. სააგენტოს ხელმძღვანელმა კომიტეტს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა დიასპორული პოტენციალისა და შესაძლებლობების გამოყენების და ამ მიმართულებით სპეციალური პროექტების შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ ყველა ამ მიმართულებით ქართული დიასპორის როლი ძალიან დიდია და იგეგმება მათთვის საინტერესო პროექტების შეთავაზება. სხდომაზე სააგენტოს დირექტორმა ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, რომლის ფარგლებშიც, სააგენტო გეგმავს პოტენციური დიასპორული ინვესტორების ბაზის შექმნას, რომელიც მუდმივად განახლებადი იქნება და ბაზის მონაცემები მიეწოდება საგარეო საქმეთა სამინისტროს და სააგენტოს საინვესტიციო დეპარტამენტს.

- 2019 წლის 4 ივნისს, მოსმენილ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის მოხსენება, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თაობაზე.

- მოსმენილ იქნა იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის მიხეილ სარჯველაძის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმიდან და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, არსებულ მდგომარეობას და სტატისტიკას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ✓ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება;
- ✓ საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნის დროებითი უფლების გამოყენება;
- ✓ საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა;
- ✓ საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება.

- მოსმენილ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის ინფორმაცია „ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ (07-2356; 03.06.2019) (2019 წლის 13 ივნისი);

- 2019 წლის 4 სექტემბერს, კომიტეტის სხდომაზე, გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ, საქართველო პარლამენტში ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის განხილვა. სხდომაზე მოხსენებით წარდგა საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატი დავით ზალკალიანი, რომელმაც საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე ისაუბრა.

- კომიტეტმა 21 ოქტომბერს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, ქეთევან ციხელაშვილს მოუსმინა. სახელმწიფო მინისტრმა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ სამშვიდობო ინიციატივის „ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ“ მიმდინარეობის შესახებ ისაუბრა. სხდომა დახურულ რეჟიმში წარიმართა.

- 2019 წლის 5 ნოემბერს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვა, რომელიც საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა.

- 2019 წლის 9 დეკემბერს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე შედგა ქართული გლობალური უნივერსიტეტის შექმნის

კონცეფციის პრეზენტაცია, რომელიც კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრმა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ფსიქოლოგიის და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სტიპენდიანტმა ალექსანდრე რუსეცკიმ წარადგინა.

სხდომაზე განხილულ იქნა ქართული გლობალური უნივერსიტეტის შექმნის კონცეფცია და უნივერსიტეტის საქმიანობაში უცხოეთში მოღვაწე მეცნიერების ჩართულობის, ასევე სპეციალური სამეცნიერო პროექტების (დისტანციური სწავლება და სხვა) შემუშავების და ეროვნული განვითარების პოლიტიკაში დიასპორული ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენების მნიშვნელობა.

ალექსანდრე რუსეცკიმ წარმოადგინა მოსაზრებები, რომლებიც მისი განცხადებით, შეიქმნა სამეცნიერო კვლევითი პროექტის ჩარჩოში და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ეგიდით ხორციელდება. კვლევის მიზანია, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ახალი მოდელის შექმნა და იმ რესურსების ინვენტარიზაცია, რაც არ, ან ვერ იყო გამოყენებული სამშვიდობო პროცესში კონფლიქტის მოსაგვარებლად. კვლევას დაექვემდებარა საგარეო პოლიტიკის მექანიზმები და ჩამოყალიბდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმოების ინოვაციური ხედვა. სხდომაზე განიმარტა, რომ მიდგომის გარკვეული ნაწილი დაინერგა საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ უწყებასთან თანამშრომლობის კონტექსტში და აღნიშნული კონცეფციის იმპლემენტაციის დასაჩქარებლად დაარსდა თბილისის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი. ასევე დაარსდა სამეცნიერო დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრი.

აღსანიშნავია, რომ საკითხთან დაკავშირებით, კომიტეტის სხდომის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა დიასპორული და სამეცნიერო რესურსის გამოყენების მნიშვნელობაზე აღნიშნული პრობლემის მოგვარების კუთხით.

- მიმდინარე წლის 13 დეკემბერს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა სსიპ ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის დირექტორს, პროფესორ მერაბ ჩუხუას მოუსმინა, რომელმაც სხდომაზე ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა.

- კომიტეტის აქტიური მონაწილეობით განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროექტი „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“. პროექტის საშუალებით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ, შესაძლებლობა ეძლევათ ერთწლიანი მანდატით გახდნენ „ახალგაზრდა ელჩები“ ადგილსამყოფელ ქვეყნებში და მოახდინონ მათი

თანატოლი ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების ინფორმირება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და ისტორიის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის უშუალო მხარდაჭერითა და ინიციატივით მოხდა ამ საინტერესო ინსტიტუტის გაძლიერება. ახალგაზრდა ელჩების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით გაორმაგდა და უკვე 35 ქვეყანას ფარავს. (ავსტრიის რესპუბლიკა; ამერიკის შეერთებული შტატები; ბელგიის სამეფო; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო; ესპანეთის სამეფო; თურქეთის რესპუბლიკა; იტალიის რესპუბლიკა; ნიდერლანდების სამეფო; პოლონეთის რესპუბლიკა; საბერძნეთის რესპუბლიკა; საფრანგეთის რესპუბლიკა; უკრაინა; შვედეთის სამეფო; ჩეხეთის რესპუბლიკა; აზერბაიჯანის რესპუბლიკა; ბელარუსის რესპუბლიკა; ბულგარეთის რესპუბლიკა; დანიის სამეფო; ესტონეთის რესპუბლიკა; იაპონიის სახელმწიფო; ირლანდია; ისრაელის სახელმწიფო; კანადა; კვიპროსის რესპუბლიკა; კორეის რესპუბლიკა; ლატვიის რესპუბლიკა; ლიეტუვის რესპუბლიკა; მალტის რესპუბლიკა; მოლდოვას რესპუბლიკა; ნორვეგიის სამეფო; უნგრეთის რესპუბლიკა; ფინეთის რესპუბლიკა; შვეიცარიის კონფედერაცია; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა).

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა მონაწილეობა მიიღო კანდიდატების მიერ წარმოდგენილი გეგმის და საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობის შეფასებაში.

კომიტეტი მომავალშიც ხელს შეუწყობს უცხოეთში მცხოვრები ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების ინფორმირებას და ჩართვას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროებში.

- საანგარიშო პერიოდში კომიტეტის აქტიური ჩართულობით და მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი - „მომავლის ბანაკი“, რომელიც მიზნად ისახავს უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოზარდების დასვენებას ქ. ანაკლიაში მდებარე საზაფხულო ბანაკში. კომიტეტი მიმდინარე წელსაც გეგმავს პროექტის მხარდაჭერას და საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობას.

დიასპორის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისია

2017 წელს განხორციელებული სახელისუფლო-სამთავრობო რეფორმისა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის გაუქმების შემდეგ, დიასპორასთან ურთიერთობა და დიასპორული პოლიტიკის განხორციელება ძირითადად დაექვემდებარა საგარეო საქმეთა სამინისტროს. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან უფრო მაღალ სტანდარტზე იქნა აყვანილი დიასპორასთან ურთიერთობის საკითხები. სამინისტროში შეიქმნა დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, რომელიც წარმოადგენს მთავარ სტრუქტურულ ერთეულს დიასპორასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის კუთხით.

აუცლებლად უნდა აღინიშნოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და უშუალოდ დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საქმიანობა და მიღწევები უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების საკეთილდღეოდ. მისასალმებელია, რომ სამინისტროსა და საპარლამენტო კომიტეტის ერთობლივი ინიციატივებით გაიზარდა დიასპორული პროექტების რაოდენობა და მასშტაბები.

დიასპორული მიმართულებით სახელმწიფოს საქმიანობის ანალიზის შედეგად, დიასპორული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისა და სამინისტროებისა და უწყებების კოორდინაციის მიზნით, კომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირთა (პრეზიდენტი; პარლამენტის თავმჯდომარე; პრემიერ-მინისტრი) დონეზე დააყენა დიასპორის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიის შექმნის საკითხი. ინიციატივა იყო დროული და მნიშვნელოვანი და საქართველოს მთავრობის განკარგულებით (2019 წ. 20 მაისი; #1143) შეიქმნა აღნიშნული კომისია.

დიასპორის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია არის მაღალი რანგის სახელმწიფო ინსტიტუცია. კომისიის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი, თავმჯდომარის მოადგილე - საგარეო საქმეთა მინისტრი. კომისიის ფუნქციონირება კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის დიასპორის საკითხებზე მუშაობას და უზრუნველყოფს ყველა სახელისუფლებო შტოს კოორდინირებულ საქმიანობას

ქართული ისტორიული დიასპორა

ისტორიული დიასპორების მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, კომიტეტის საქმიანობა, ძირითადად, შემოიფარგლა თურქეთის, აზერბაიჯანისა და საფრანგეთის ქართულ დიასპორებთან ურთიერთობებით.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქართული ისტორიული დიასპორის (ისტორიული ჰერეთის) წინაშე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად გაიმართა

არაერთი მცირე თუ ფართო ფორმატის სამუშაო შეხვედრა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის, დაინტერესებული პარლამენტის წევრების, სამინისტროებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებების, მეცნიერების, კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრების, მკვლევარი კავკასიოლოგების, საზოგადო მოღვაწეების, დარგის ექსპერტებისა და ჰერეთის მკვიდრთა მონაწილეობით. კომიტეტმა მოამზადა და დარგობრივ სამინისტროებს, შესაბამის დაწესებულებებს დაუგზავნა ათეულობით რეკომენდაცია და შუამდგომლობა.

- 2019 წლის 26 თებერვალს, კომიტეტმა სხდომაზე განიხილა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ქართული სკოლებისა და ქართული ენის სწავლების, კახის რაიონში ქართული კულტურის სახლის აღდგენისა და ქართული მოსახლეობის ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საკითხები

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ დარგობრივი სამინისტროების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეებისა და აზერბაიჯანის ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ექსპერტები და საკითხით დაინტერესებული პირები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ, პრობლემები, რომელიც არსებობს აზერბაიჯანის ქართველებით დასახლებულ რეგიონში, არის მოგვარებადი. ამასთან, საკითხის უკეთ შესასწავლად, გამოითქვა ჰერეთში ვიზიტის განხორციელების ინიციატივა. შეხვედრის ფარგლებში ხაზგასმულ იქნა, რომ აზერბაიჯანთან არსებული სტრატეგიული თანამშრომლობა და მეგობრობა, ასევე ისტორიულად კარგი ურთიერთობა უნდა გახდეს არსებული პრობლემების ერთობლივად გადაჭრის საფუძველი.

- 2019 წლის 13 სექტემბერს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა ისტორიული ქართული დიასპორის გამორჩეულ წარმომადგენლებს - სამ ფერეიდნელ ქართველს უმასპინძლა, რომლებმაც 31 დღის განმავლობაში ფეხით გამოიარეს გზა (1450 კმ) ფერეიდნიდან საქართველომდე. შაჰრამ ონიკაძე, ომიდ (ამირან) გუგუნაშვილი და ისმაილ რაჰიმი (დავითაშვილი) ირანის ისლამური რესპუბლიკის ფერეიდნის რეგიონიდან ისტორიულ სამშობლოში 10 სექტემბერს შემოვიდნენ.

შეხვედრაზე ხაზგასმულ იქნა ის ფაქტი, რომ ეს არის 400 წლის წინ ირანში იძულებით გადასახლებულთა სამი შთამომავალის უნიკალური და გულწრფელი აქცია, ფეხით დაბრუნებულიყვნენ წინაპრების ფუძეზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ირანში გადასახლებულმა ქართველებმა ტოპონიმებსაც კი შეუნარჩუნეს სახელები. დღესაც, ირანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ქართული ტოპონიმები არსებობს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ისინი ფერეიდნული კილო-კავით დღესაც ქართულ ენაზე მეტყველებენ. კომიტეტის თავმჯდომარემ და

წევრებმა მადლობა გადაუხადეს ჩვენი დროის გმირებს ასეთი ძალისხმევითა და სიყვარულისთვის. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს ასევე ტარიელ ფუტყარაძეს, რომელმაც ამ იდეასა და ღონისძიებას გაუწია ორგანიზება.

სტუმრებს მიესალმნენ პარლამენტის წევრები, ასევე, ღონისძიებაზე მოწვეული საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

როგორც ფერეიდნელმა სტუმრებმა აღნიშნეს, საქართველოსკენ მათი მსვლელობის მიზნებია: ისტორიული სამშობლოს უკეთ გაცნობა; კონტაქტების გაღრმავება; ორმხრივი ურთიერთობების ინტენსიფიკაცია და მიმოსვლების გახშირება; ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მსურველი ფერეიდნელი ქართველებისთვის ხელის შეწყობა.

- 15 ნოემბერს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ბექა ოდიშარიამ და კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გივი ჭიჭინაძემ შეხვედრა გამართეს თურქეთის ქართული ისტორიული დიასპორული ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულია საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან, განსაკუთრებით, ისტორიულ დიასპორასთან ურთიერთობისა და კავშირების ინტენსიფიკაცია, სისტემატიზაცია და არსებული პრობლემების ერთიანი ძალისხმევით გადაჭრა. საზღვარგარეთ ქართული დიასპორის იდენტობისა და კულტურული თავისთავადობის შენარჩუნების ხელშეწყობა, დიასპორის ჩართულობა მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნის პოპულარიზაციისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის განმტკიცების საკითხში.

ისტორიული დიასპორის წარმომადგენლებმა ისაუბრეს თურქეთში მოქმედი ქართული სათვისტომოების საქმიანობაზე, მათ როლზე ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარების საქმეში. გამოთქვეს სურვილი, რომ პროექტში „ანაკლიის მომავლის ბანაკი“ კიდევ უფრო გაიზარდოს დიასპორული ახალგაზრდების ჩართულობა და პროექტში გაძლიერდეს საგანმანათლებლო კომპონენტი.

შეხვედრაზე აგრეთვე იმსჯელეს, საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის, ცალკეული დიასპორული პროექტების განხორციელებაზე, რაშიც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ქართველი მეცნიერები და პედაგოგები.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ვაჟა მალაყმაძე (გურჯან ჰაირიოღლუ) - ჰაირიეს ქართული კულტურის ასოციაცია; გიორგი ირემაძე (შემსეთთინ იიემ) - სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებელი, ბიზნესმენი, ქველმოქმედი და პუბლიცისტი; მერაბ ფუტყარაძე (მეჰმეთ სევალ) - ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება; როზეტა

გუჯეჯიანი - ისტორიკოსი, ეთნოლოგი, პროფესორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეთნოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი და ქეთევან ხუციშვილი - თსუ-ს პროფესორი. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი სესიაშვილი.

საანგარიშო პერიოდში საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ფორმატში, კომიტეტი ზედამხედველობას უწევდა საგარეო უწყების მიერ გაწეულ საქმიანობას, „ლევლის მამულის“ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისა და მომავალში მისი ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერად ჩამოყალიბების საკითხს.

თანამედროვე მიგრაციული პოლიტიკა, მიგრაციული პროცესები და მათი მართვა

მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებისა და ამ მიმართულებით აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, კომიტეტმა აწარმოა ანალიტიკური სამუშაოები, გამართა ფართო ფორმატის საკომიტეტო მოსმენები და შეხვედრები, რომელთა შორის საყურადღებოა:

- კომიტეტმა 2019 წლის 15 აპრილს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ადგილობრივი პროგრამების კოორდინატორს ნათია კვიციანს მოუსმინა, რომელმაც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ფარგლებში, საქართველოს მოქალაქეთა უცხოეთში დროებითი კანონიერი დასაქმების შესახებ არსებული ინფორმაცია წარმოადგინა. სხდომის მიმდინარეობისას განხილულ იქნა პროექტის ფარგლებში, კვლევების შედეგად გამოკვეთილი მიგრაციის მიზეზები, არალეგალური მიგრაციის რისკები და საფრთხეები, არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის მექანიზმები.

შრომითი მიგრაციის პროცესის რეგულირებას და ლეგალური დასაქმების ხელშეწყობის საკითხებს თავის მოხსენებაში შეეხო ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსი - გიორგი ბუნტური. მან აღნიშნა, რომ მიგრაციული პროცესების მართვა და რეგულირება საქართველოში 2013 წლამდე არ ხდებოდა. 2013 წლიდან კი სტრატეგიის დამტკიცების შემდეგ დაიწყო მიგრაციისთან დაკავშირებული საკანონმდებლო და სხვა ტიპის ინიციატივების შემუშავება.

- 2019 წლის 5 ივლისს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ და კომიტეტის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტ „წარმატებული ემიგრანტი 2019“-ის დაჯილდოების ცერემონიაში, რომელიც „დიასპორის სახლის“ ორგანიზებით, რუსთაველის თეატრში გაიმართა.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა. მან თითოეულ ემიგრანტს მადლობა გადაუხადა საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციის, ქართული ენის, ტრადიციების, თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და საქართველოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ სპეციალური ჯილდო გადასცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველ მეცნიერს, პროფესორ ფრიდონ შუბითიძეს.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ და მონაწილეები დააჯილდოვეს: პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, გიორგი ვოლსკიმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, გივი ჭიჭინაძემ და საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა, რატი ბრეგაძემ.

აღსანიშნავი და მისასალმებელია, რომ წარმატებული ემიგრანტების დაჯილდოების ცერემონიამ უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო და საქართველოში მეოთხედ ჩატარდა.

- კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM), სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საკითხებზე, რაც მოიცავს: თანამედროვე მსოფლიო მიგრაციული პროცესების მეცნიერულ ანალიზს; ამ დარგში უცხო ქვეყნების გამოცდილების გაცნობას, კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესწავლას; მიგრაციისა და მიგრაციული პოლიტიკის განვითარებას; შრომით მიგრაციას და ხელშეწყობას; დიასპორულ საინვესტიციო და ინტელექტუალურ პოტენციალს, ფულად გზავნილებს და მათ მართვას; არალეგალური მიგრაციის პრევენციას, მისი გამომწვევი/ხელშემწყობი მიზეზების კვლევას, ამ ფაქტორებთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმის შემუშავებასა და სხვა.

- კომიტეტმა, 2019 წლის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღო შრომითი მიგრაციის პოლიტიკის წარმოების საკითხებზე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ გამართულ ფართო ფორმატის სამუშაო შეხვედრებში. განხილული იქნა თემები:

- ✓ მიგრაცია და კარგად მართული შრომითი მობილობის შეფასება, მოსალოდნელი შედეგების გააზრება;

- ✓ შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის წარმოშობა და მისი დანიშნულების ქვეყნების შრომითი მიგრაციის პოლიტიკაში ინტეგრირება;
- ✓ მიგრანტთა დანაზოგების შექმნის მხარდაჭერა და ფულადი გზავნილების პროდუქტიულად გამოყენება;
- ✓ საქართველო შრომითი მიგრაციის მართვის კონტექსტში - მიზნები, ძლიერი და სუსტი მხარეები, აუცილებელი შემდგომი ნაბიჯები;
- ✓ პოტენციურ მიგრანტებთან კომუნიკაციის სტრატეგიები - ეტაპები, არხები, საინფორმაციო გზავნილები და უკუკავშირი.
 - კომიტეტი, აქტიურად იყო ჩართული მიგრანტთა საერთაშორისო დღესთან (18 დეკემბერი) დაკავშირებით, გამართულ სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებში.

კავკასია, კავკასიელ ხალხებთან, მათ დიასპორულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში, კავკასიის მიმართულებით, კომიტეტის საქმიანობა მნიშვნელოვანი იყო დარგის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, კავკასიურ უნივერსიტეტებთან, აკადემიურ წრეებთან, კავკასიელ ხალხებთან, მათ დიასპორულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და კავკასიელ მკვლევარებთან ურთიერთობის კუთხით.

- 2019 წლის 14 მარტს, ჩერქეზული ენისა და კულტურის დღეს მიეძღვნა დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელზეც კომიტეტის წევრებს ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა მერაბ ჩუხუამ ცენტრის საქმიანობის და 2019 წელს დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა.

- 2019 წლის 1 აპრილს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე პროექტის „კავკასიურ ენათა (ქართული ენის, ქართველური ენების, იბერიულ-კავკასიური ენების) სამეცნიერო ელექტრონული ეტიმოლოგიური ლექსიკონების შექმნა“ პრეზენტაცია გაიმართა. კომიტეტის წევრებს და სხდომაზე დამსწრე აუდიტორიას, პროექტი, „კავკასიურ ენათა (ქართული ენის, ქართველური ენების, იბერიულ-კავკასიური ენების) სამეცნიერო ელექტრონული ეტიმოლოგიური ლექსიკონების შექმნა“, კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრმა, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ წარუდგინა. მომხსენებელმა კავკასიურ ენათა სამეცნიერო ელექტრონული ეტიმოლოგიური ლექსიკონების შედგენისა და გამოცემის მნიშვნელობაზე ისაუბრა. სხდომის მიმდინარეობისას აღინიშნა, რომ დღემდე მსგავსი ლექსიკონის

შედგენის მცდელობაც კი არ ყოფილა და მით უფრო მნიშვნელოვანია დღეს, სამენოვანი ლექსიკონის აკადემიური გამოცემის არსებობა.

- 2019 წლის 13 დეკემბერს, კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე სსიპ ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა მერაბ ჩუხუამ, დიასპორისა და კავკასიის კომიტეტის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის თაობაზე.

ცენტრის პრიორიტეტებია: ჩერქეზი ერის ისტორიისა და კულტურის კვლევა-პოპულარიზაცია, ჩრდილოკავკასიის ხალხთა და თვითმყოფად კულტურათა შორის დიალოგის წარმოება; საქართველოს ინტელექტუალური რესურსის გააქტიურება, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლების, ასევე უცხოეთში არსებული კავკასიოლოგიური ცენტრების გაერთიანება კავკასიის რეგიონში უფრო ინტენსიური და შედეგებზე ორიენტირებული თანამშრომლობის მისაღწევად.

ცენტრმა ბოლო წლებში არაერთი კულტურული და სამეცნიერო ღონისძიება განახორციელა:

- ✓ ჩერქეზი მხატვრების ფერწერული ნამუშევრებისა და ჩერქეზული ეროვნული სამოსის გამოფენები;
- ✓ ტრადიციად დაამკვიდრა საქართველოში ჩერქეზული ენისა და დამწერლობის დღის, ასევე ეროვნული ტრაგედიის თარიღებისა და ნაციონალური მნიშვნელობის დღესასწაულების აღნიშვნა;
- ✓ ჩაატარა ჩერქეზული სემინარების ციკლი;
- ✓ ორგანიზება გაუწია არაერთ ლექციას რუბრიკის „ჩერქეზეთის მეგობრები“ ფარგლებში;
- ✓ მოეწყო ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური საერთაშორისო საზაფხულო სკოლები;
- ✓ გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები სამეცნიერო და კულტურულ სფეროში წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; გამართა ჩერქეზული საინვესტიციო პროექტების პრეზენტაციები;
- ✓ გამოიცა ორ ათეულამდე სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული ჟანრის მონოგრაფია/კრებული.

რეგიონული უსაფრთხოება, კონფლიქტების რეგულირება

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიური კუთხით განხორციელებული აქტივობები, პარალელურად მოიცავს რეგიონალური პოლიტიკისა და კონფლიქტების რეგულირების საკითხებს, კერძოდ: რეგიონში უსაფრთხო სამეზობლო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას; რეგიონში კულტურული

დიალოგის წარმოებას; სახალხო დიპლომატიის მეშვეობით აფხაზებთან და ოსებთან კავშირებს; ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის ინტეგრაციას და დაახლოებას დანარჩენ საქართველოსთან; კონფლიქტების მოგვარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში ქართული სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის პოპულარიზაციას; პანკისის ხეობაში არსებული გამოწვევების გადაწყვეტას; კავკასიელ ხალხებთან თანამშრომლობით რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობის ხელშეწყობას.

ანალიტიკური საქმიანობა

კომიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ანალიტიკური საქმიანობა, დარგობრივი სპეციფიკისა და კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული სამივე ძირითადი პრიორიტეტული მიმართულების (დიასპორა, მიგრაცია და კავკასია) მიხედვით. ამ კუთხით საინტერესოა შემდეგი აქტივობები:

კომიტეტში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, ცალკეული ქვეყნების მიხედვით, დიასპორული საინფორმაციო ბაზის სრულყოფაზე. მომზადებულია ათეულობით ქვეყნის მონაცემები, რომლებიც განთავსებულია კომიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. პერიოდულად ხდება აღნიშნული საინფორმაციო ბაზის განახლება. აქ თავმოყრილია უცხოეთში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების, სათვისტომოების, საკვირაო სკოლების, ქართველოლოგიური ცენტრებისა და ჩვენი თანამემამულეების შესახებ ანალიტიკური და სტატისტიკური ხასიათის ინფორმაციები. შესაბამისი მასალების მოძიების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა საელჩოებთან და საკონსულოებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან და სათვისტომოებთან. ამ კუთხით, შესრულებულია მოცულობითი საინფორმაციო-ანალიტიკური სამუშაოები.

მოქალაქეთა წერილები, მომართვები

კომიტეტი, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებდა საქმისწარმოებას. იხილავდა მოქალაქეთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს, უწევდა მათ შესაბამის დახმარებას, ახდენდა სათანადო სამართლებრივ რეაგირებას. აღნიშნული საქმიანობისას, კომიტეტის ძირითადი პრიორიტეტები იყო მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, მათთან მჭიდრო თანამშრომლობა და გამჭვირვალობა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნით, საანგარიშო პერიოდში მომზადდა და გაიცა, კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული, არაერთი საჯარო ინფორმაცია, რომლებიც შეეხებოდა საპარლამენტო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს.

კომიტეტი სწავლობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან შემოსულ დოკუმენტაციას. ასევე, აგზავნიდა მიმართვებსა და წერილებს სათანადო ინფორმაციების მისაღებად, შუამდგომლობებს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა პრობლემური საკითხების გადასაჭრელად.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოვიდა 243 განცხადება, სხვადასხვა სახის შუამდგომლობები და წერილები. ყველა მათგანი იქნა განხილული და მოხდა შესაბამისი რეაგირება.

აპარატის თანამშრომლები, კომპეტენციის ფარგლებში, საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან, კავკასიელ ხალხებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან, უცხოეთში მოქმედ ქართველოლოგიურ ცენტრებთან აწარმოებდნენ ელექტრონულ მიმოწერას, ახდენდნენ მათ მიერ დასმული პრობლემების შესწავლას და შესაბამის რეაგირებას.

მომზადდა არაერთი სარეკომენდაციო წერილი და შუამდგომლობა დიასპორული ორგანიზაციებისა და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ წარმოდგენილი პროექტების მხარდასაჭერად.

ევროპასთან ინტეგრაცია და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი აქტიურადაა ჩართული ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის განხორციელების კუთხით მიმდინარე რეფორმებში. ამ მიმართულებით, კომიტეტი რეგულარულად ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

კერძოდ, მიმდინარე წლის 4 სექტემბერს, კომიტეტმა მოისმინა ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის, მიმდინარე საგარეო პოლიტიკური საკითხებისა და იმ მნიშვნელოვანი მიმართულების თაობაზე, როგორცაა საქართველო - ევროკავშირის ურთიერთობები, მათ შორის ვიზალიბერალიზაციის შესახებ.

თანამშრომლობა საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებასთან, დარგობრივ ორგანიზაციებთან

2019 წლის 16 დეკემბერს, თბილისში, გაიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დიასპორის პოლიტიკის საპარლამენტო კავშირის მიერ ორგანიზებულ კონფერენცია - „დიასპორის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში“, რომელსაც საქართველოს პარლამენტი მასპინძლობდა.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა სამი პლენარული სესია, სადაც 22 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა (მათ შორის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, დიასპორული ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები).

სესიის მონაწილეებს მიმართა საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ. მისი შეფასებით, ღონისძიება სწორი და მოქნილი დიასპორული პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების, ევროპის ქვეყნების მრავალრიცხოვან ქართულ დიასპორებთან ეფექტიანი დიალოგის წარმოების და ერთიან ევროპულ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის ძლიერი პლატფორმაა. საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, მჭიდრო კავშირი შეინარჩუნოს ქვეყნიდან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით გასულ, მთელს მსოფლიოში მცხოვრებ მილიონ ნახევარზე მეტ თანამემამულესთან. ხელს უწყობს მათ, აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებში, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება-გამდიერებაში. ქართული სახელმწიფო ზრუნავს გაიზარდოს დიასპორის ჩართულობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ინიციატიური პროექტების განხორციელებაში.

კომიტეტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს, დიასპორულ ორგანიზაციებს და საერთაშორისო პარტნიორებს, დიასპორებთან ურთიერთობების მიმართულებით განხორციელებული ინიციატივებისთვის, იდეებისთვის და პარლამენტის სახელით სამომავლო თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა. კონფერენციის ფარგლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ დემოკრატიის მაღალი ხარისხი, რეგიონული თანამშრომლობა, უფრო აქტიური ნაბიჯები ევროკავშირისა და ნატოსაკენ, არის საქართველოს წარმატებისა და უსაფრთხოების გარანტია.

ბექა ოდიშარიამ, მისასალმებელ სიტყვაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო პატიმრობასა და საოკუპაციო რეჟიმის ანტიჰუმანურ მიდგომას ამ საკითხისადმი. მან დეტალურად აღუწერა დამსწრეთ შექმნილი მდგომარეობა და კოლეგებს ევროპის ქვეყნების პარლამენტებიდან სთხოვა ქმედითი დახმარება ამ პრობლემის მოგვარებაში. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა სამი პლენარული სესია, სადაც მონაწილეობა საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიასპორის წარმომადგენლებმა მიიღეს.

სესიებზე საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და დიასპორის ასოციაციის წევრებმა გააზიარეს გამოცდილება დიასპორის ჩართულობაზე საქართველოს განვითარების საქმეში. აღწერეს, თუ როგორ იცავს სახელმწიფო დიასპორის უფლებებს (საარჩევნო უფლებები, პარლამენტში წარმომადგენლობა,

საჯარო სამსახურში დისკრიმინაციის აკრძალვა, სპეციალური სტატუსი ან ორმაგი მოქალაქეობა და ა.შ.), რეინტეგრაციის რა მექანიზმებს უზრუნველყოფს და როგორ ავითარებს დიასპორის პოლიტიკას და გამოავლინეს დიასპორის წარმატებული კულტურული და დიპლომატიური სტრატეგიები საზღვარგარეთ სამშობლოს ინტერესების გატანის საქმეში. კონფერენციის მონაწილეებმა კავშირის მომავალი საქმიანობის მიმართულებებიც განიხილეს.

კონფერენციამ დასკვნითი დებულებებისა და რეკომენდაციების მიღებით დაასრულა მუშაობა.

კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტები და ცალკეული შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში დიასპორული კალენდრის მიხედვით დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც, კომიტეტის თავმჯდომარემ და წევრებმა საზღვარგარეთ ჩვენი თანამემამულეების მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა.

- 2019 წლის 18 თებერვალს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, შეხვდა ნიუ-იორკში მოღვაწე ქართული დიასპორის წარმომადგენელს, ემიგრანტთა მსოფლიო ლიგის თავმჯდომარეს, ელზა აბელაშვილს და თსუ-ს ქართული ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელს, საქართველოში ემიგრანტთა მსოფლიო ლიგის წარმომადგენელს, რუსუდან კობახიძეს.

- 2019 წლის 18 თებერვალს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე საბერძნეთში ქართული სათვისტომოს წარმომადგენელს, დიასპორული საინფორმაციო პორტალის diaspora.ge-ს დამფუძნებელს, ავთანდილ გიუნაშვილს შეხვდა.

- 2019 წლის 21 თებერვალს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, მიხეილ ნინუას და საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს, რატი ბრეგაძეს შეხვდა.

- 2019 წლის 26 თებერვალს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ზვიად კვაჭანტირაძემ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელთან, სანია ჩელებიც ლუკოვაკთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

- 2019 წლის 26 მარტს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ, შეხვედრა დუბლინში, საქართველოს საელჩოში, ქართველ ემიგრანტებთან გამართა.

- 2019 წლის 2 აპრილს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ზვიად ძიძიგურის ხელმძღვანელობით, კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია და კომიტეტის წევრები: მახირ დარზიევი და აზერ სულეიმანოვი შეხვდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, ფუად მურადოვს. შეხვედრაზე იმსჯელეს როგორც ზოგად დიასპორულ პრობლემატიკაზე, ისე აზერბაიჯანში ქართული ისტორიული დიასპორისა და საქართველოში აზერბაიჯანული დიასპორის საკითხებზე;

- 2019 წლის 4 აპრილს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ სამუშაო შეხვედრა გამართა საქართველოს პრეზიდენტთან, სალომე ზურაბიშვილთან, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენი თანამემამულეების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და გეგმებზე ისაუბრეს;

- 2019 წლის 10 აპრილს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბექა ოდიშარია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელს, სანია ჩელეზიცი ლუკოვას შეხვდა;

- 2019 წლის 18 აპრილს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ მსოფლიოში აღიარებულ ქართველ საოპერო მომღერალსა და წარმატებულ ქართველ დიასპორელს - მაყვალა ქასრაშვილს უმასპინძლა;

- 2019 წლის 15 მაისს, ლატვიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია, რიგაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდნენ;

- 2019 წლის 29 მაისს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ, კომიტეტის წევრებმა ფატი ხალვაშმა და ირმა ნადირაშვილმა, ათენში, საქართველო-საბერძნეთის მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფების მორიგ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა;

- 2019 წლის 30 მაისს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ, მონაწილეობა მიიღო საბერძნეთის რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულ პირველ ქართულ დიასპორულ კონფერენციაში (ქ. ათენი);

- 2019 წლის 31 ივლისს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბექა ოდიშარია ქართველ ემიგრანტებთან ერთად სიღნაღის „ბროწლიანის სათნოების სახლს" ესტუმრნენ. „ბროწლიანის სათნოების სახლის" სრული რეაბილიტაცია საქველმოქმედო ფონდის „დავებმართ საქართველოს“ მეშვეობით განხორციელდა, რომლის ინიციატორი ჰოლანდიაში მცხოვრები, 15 წლის დიასპორელი გიორგი ვენკოა.

- 2019 წლის 15-19 აგვისტოს, ბექა ოდიშარიამ შეხვედრები გამართა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან,

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ კავკასია, და კერძოდ საქართველო, ისტორიულად, რელიგიური ტოლერანტობის უნიკალურ სივრცეს წარმოადგენდა. ეს ტრადიცია კავკასიელი ხალხების ერთობლივი ძალისხმევით მომავალშიც უნდა შენარჩუნდეს და წარმატებით გაგრძელდეს. შეხვედრებზე, საუბარი, აგრეთვე, შეეხო დიასპორული პოლიტიკის პრიორიტეტებსა და ამოცანებს. დაიგემა სხვადასხვა პროექტის განხორციელება სახელმწიფო ინსტიტუტების აქტიური მხარდაჭერითა და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ჩართულობით.

- 2019 წლის 16 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია ირლანდიაში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს, რუსუდან თალაკვაძეს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ემიგრანტების საქართველოში დაბრუნებისა და მათი ღირსეული რეინტეგრაციის საკითხებს. მხარეებმა ისაუბრეს ყველა იმ პროქტსა და სიკეთეზე, რასაც ქათული სახელმწიფო სთავაზობს უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს.

- 2019 წლის 16 აგვისტოს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, მიხეილ ნინუასთან და საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, რატი ბრეგაძესთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე განხილული იყო მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიებები, მათ შორის კონკრეტული ღონისძიებების საორგანიზაციო საკითხები.

- 2019 წლის 19 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბექა ოდიშარია საქართველო-ფინეთის მეგობრობის ასოციაციის - „თბილისი-ჰელსინკი და ევროპული ალიანსი საქართველოსთვის“ პრეზიდენტს, მანანა კვენეტაძე-მაჭავარიანს შეხვდა. ბექა ოდიშარიამ, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სახელით მხარდაჭერა გამოხატა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტებისადმი, რომლებიც მიმართულია ხალხთა შორის ურთიერთობის განმტკიცებისაკენ.

- 2019 წლის 17 სექტემბერს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბექა ოდიშარია შეხვდა გერმანიის მარშალის ფონდისა და ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის დელეგაციას. დელეგაციის ვიზიტის მიზანს საქართველოში პოლიტიკური, საგარეო და თავდაცვის საკითხების ირგვლივ ვითარების შესწავლა და ანგარიშის მომზადება წარმოადგენდა, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკურ ინსტანციებს, ევროპის პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკური ფონდების ხელმძღვანელებს წარედგინათ.

- 2019 წლის 13 ნოემბერს, ბექა ოდიშარიამ და გივი ჭიჭინაძემ იტალიის რესპუბლიკაში, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან და დიასპორულ ორგანიზაციებთან შეხვედრები გამართეს. ვიზიტის ფარგლებში, კომიტეტის

წევრებმა მონაწილეობა მიიღეს, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული პროექტის „ცოცხალი წიგნებისა“ და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, მილანის გამომცემლობა „ლა ვიტა ფელიჩეს“ მიერ გამოცემული ქართველი და იტალიელი პოეტების კრებულების პრეზენტაციაში და სხვა კულტურულ ღონისძიებებში.

- 2019 წლის 15 ნოემბერს, ბექა ოდიშარიამ და გივი ჭიჭინაძემ თურქეთის რესპუბლიკაში მოქმედი ქართული სათვისტომოების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს.

- 2019 წლის 18 – 22 დეკემბერს, მიგრანტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ნიუ-იორკში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების: „დიასპორის სახლისა“ და საერთაშორისო ასოციაცია „ერთობის“ მიწვევით, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია, კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გივი ჭიჭინაძე და პარლამენტის წევრი თეიმურაზ ჭკუასელი აშშ-ში ვიზიტით იმყოფებოდნენ. 18 დეკემბერს ნიუ-იორკში, გაიმართა მიგრაციის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონფერენცია. კონფერენციაზე ნიუ-იორკის მერის წარმომადგენელმა საზოგადოებას გააცნო ნიუ-იორკის მერის ოფიციალური მიმართვა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ამერიკის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, ქართულ დიასპორებთან აქტიური თანამშრომლობა და ღონისძიებებში თანამონაწილეობა. ბექა ოდიშარიამ ქართველ ემიგრანტებს დიასპორულ ორგანიზაციებთან მიმართებით ხელისუფლების ახალი ხედვა გააცნო.

საპარლამენტო დელეგაციამ, ვიზიტის ფარგლებში ასოციაცია „თვისტომის“ ოფისში გამართა შეხვედრა დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სადაც დეტალურად იქნა განხილული ზოგადად ქართული დიასპორის და მათ შორის აშშ-ის ქართული დიასპორის წინაშე არსებული გამოწვევები, დიასპორული პოლიტიკის წარმოების აქტუალური საკითხები, ქართულ-ამერიკული ერთობლივი პროექტები სამეცნიერო, კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროებში.

აშშ-ში ვიზიტისას ასევე გაიმართა: საერთაშორისო ასოციაცია „ერთობის“ ბაზაზე არსებული თეა კანდელაკის ქართულ-ებრაული კულტურის ცენტრის კონცერტი; თემურ ჭკუასელის, თეა კანდელაკისა და მაკა კვერენჩილაძე-კარტიეზერის წიგნების პრეზენტაცია; შეხვედრა ქართული კულტურის ცენტრ „ფესვების“ პედაგოგებთან, მშობლებთან და ანსამბლის წევრებთან.

კომიტეტისა და კომიტეტის აპარატის სხვა აქტივობები

დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, კომიტეტის წევრები და კომიტეტის აპარატის თანამშრომლები, აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, შეხვედრებში, საჯარო ლექციებში, სემინარებსა და თემატურ სამუშაო ჯგუფებში.

კომიტეტი, მომავალ სასესიო პერიოდში გააგრძელებს მუშაობას მიმდინარე და ახალ პროექტებზე. მოხდება გაწეული სამუშაოების ანალიზი, შემუშავებული იქნება ახალი სამოქმედო გეგმა, რა დროსაც ყურადღება დაეთმობა საანგარიშო პერიოდში, კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულებას.